გირავნობის ხელშეკრულების სპეციალური პირობები
დანართი #1

1. **გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი და სპეციალური პირობების იერარქია**
   1.1. გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებისგან: (ა) გირავნობის ხელშეკრულება - ძირითადი პირობები, (ბ) გირავნობის ხელშეკრულების სპეციალური პირობები და (გ) მხარეთა ნებისმიერი დამატებითი შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია გირავნობის ხელშეკრულებასთან (გირავნობის ხელშეკრულების ცვლილებების/დამატებების ჩათვლით). თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთიან მთლიანობას და ერთმანეთის განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გირავნობის ხელშეკრულების ძირითად პირობებს და მასთან დაკავშირებულ დამატებით შეთანხმებებს.

2. **მხარეთა ვალდებულებები და უფლებები**
   2.1. <u>მესაკუთრე ვალდებულია:</u>
   2.1.1. წინასწარ წერილობით შეათანხმოს მოგირავნესთან გირავნობის საგნის გაყიდვის, დაგირავების, იჯარით გაცემის, გაქირავების, უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვის ან/და გირავნობის საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგების დადების საკითხი;
   2.1.2. გირავნობის საგნის გაყიდვასთან / გასხვისებასთან დაკავშირებული გარიგების სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის დასრულებისთანავე, წერილობით შეატყობინოს მოგირავნეს, გირავნობის საგანზე მესაკუთრის ცვლილების შესახებ;
   2.1.3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა გირავნობის საგნის დაცვისა და კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის, დაიცვას იგი მესამე პირების ხელყოფისა და მოთხოვნებისაგან;
   2.1.4. გაიღოს გირავნობის საგნის შენახვის ხარჯები გირავნობის შეწყვეტის რეგისტრაციის მომენტამდე;
   2.1.5. აცნობოს მოგირავნეს ყოველი საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს გირავნობის საგანზე (მათ შორის გირავნობის საგანთან დაკავშირებით საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების, ყადაღის, რაიმე მოთხოვნის ან/და უფლების წარმოშობის თაობაზე);
   2.1.6. მოგირავნის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა:
   2.1.6.1. წარუდგინოს/გადასცეს მოგირავნეს გირავნობის საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი;
   2.1.6.2. უზრუნველყოს ხელმოწერა და მოგირავნეს დაუყოვნებლივ გადასცს ნებისმიერი საბუთი (განცხადება, შეთანხმება და სხვა), რომელიც საჭირო იქნება მოგირავნისთვის გირავნობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის სრულფასოვანი განხორციელებისთვის;
   2.1.6.3. პირდაპირ მფლობელობაში გადასცეს მოგირავნეს გირავნობის საგანი მასთან დაკავშირებულ ყველა საბუთთან ერთად;
   2.1.6.4. საკუთარი სახელითა და ხარჯებით დააზღვიოს გირავნობის საგანი, მოგირავნის მიერ მოთხოვნილი რისკების დასაფარად ძირითადი ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. მოგირავნეს უფლება აქვს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები სადაზღვევო ანაზღაურებიდან. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისი არ მოიცავს ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდს, მაშინ იგი პერიოდულად უნდა განახლდეს პოლისის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე; პოლისი უნდა მიუთითებდეს მოგირავნეზე, როგორც დაზღვევის ამონაგების (სადაზღვევო ანაზღაურების) ერთპიროვნულ მიმღებზე და უნდა განსაზღვრავდეს, რომ მოგირავნეს არ წაეყენება რაიმე მოთხოვნა პრემიის ან სხვა თანხების გადახდასთან დაკავშირებით;
   2.1.6.5. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს თავისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

2.1.7. გადაიხადოს გირავნობის ხელშეკრულების დადებასთან, რეგისტრაციასთან, ცვლილებების ან დამატებების შეტანასთან და რეგისტრაციასთან, გაუქმებასთან და გაუქმების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი (საფასური, საზღაური, მოსაკრებელი და სხვა);

2.1.7.1. გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდგომ, მიმართოს ბანკს გირავნობის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის მოთხოვნით;

2.1.7.2. ბანკის წერილობითი დასტური გირავნობის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, სარეგისტრაციოდ წარუდგინოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

2.1.8. არ დაუშვას გირავნობის საგანთან დაკავშირებით მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგების დადება;

2.1.9. გირავნობის საგანთან დაკავშირებით საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების ან/და ყადაღის) რეგისტრაციის შემთხვევაში, უზრუნველყოს საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შეწყვეტის რეგისტრაცია მისი წარმოშობიდან არაუგვიანეს 30 (ოცდათი) კალენდარული დღისა;

2.1.10. გირავნობის საგანზე საკუთრების უფლების დაკარგვის, გირავნობის საგნის დაზიანების ან/და განადგურების შემთხვევაში, ასეთი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, უზრუნველყოს იგივე ღირებულებისა და ბანკისთვის მისაღები სხვა მოძრავი ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დაგირავება გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ამ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის და მოგირავნის მოთხოვნის შემთხვევაში, ზიანის მოცულობის / გირავნობის საგნის ღირებულების ტოლი ოდენობით შეამციროს უზრუნველყოფილი ვალდებულება(ები);

2.1.11. გირავნობის საგნის გასხვისების შემთხვევაში, გირავნობის საგნის მომავალ მესაკუთრესთან ერთად, მიმართოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომავალი მესაკუთრის დამგირავებლად რეგისტრაციის მიზნით. მესაკუთრის მიერ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მესაკუთრეს მოსთხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება. ამასთან, ბანკი არ არის შეზღუდული, თავად მიმართოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომავალი მესაკუთრის დამგირავებლად რეგისტრაციის მიზნით;

2.2. <u>მესაკუთრე უფლებამოსილია:</u>

2.2.1. გირავნობის საგნით ისარგებლოს დანიშნულებისამებრ, არ დაუშვას გირავნობის საგნის მდგომარეობის გაუარესება ან მისი ღირებულების შემცირება იმაზე მეტად, რაც ნორმალური ცვეთისას ხდება;

2.2.2. მოგირავნის წინასწარი წერილობითი თანხმობით, გირავნობის საგანი გარდაქმნას, გაყოს, გააერთიანოს სხვა ნივთ(ებ)თან (საგანთან) იმდაგვარად, რომ ამის შედეგად არ შემცირდეს გირავნობის საგნის რეალური ღირებულება (ნივთზე, რომელთანაც გაერთიანდება გირავნობის საგანი არ უნდა ვრცელდებოდეს სხვა ნებისმიერი პირის მოთხოვნა/უფლება, ტვირთი ან შეზღუდვა), ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით დადგენილი გირავნობა ვრცელდება: გირავნობის საგნის სხვა ნივთთან გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე, გირავნობის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნივთზე, გირავნობის საგნისთვის დამატებულ ნივთზე, გირავნობის საგნის გადაკეთებით (მოდიფიკაციით) მიღებულ ნივთზე, გირავნობის საგნის ყველა და ნებისმიერ საკუთვნებელზე და გირავნობის საგნის ნაყოფზე.

2.3. <u>მოგირავნე უფლებამოსილია:</u>

2.3.1. მოსთხოვოს მესაკუთრეს გირავნობის საგნის მოგირავნისთვის ან მოგირავნის მიერ დასახელებული პირისთვის სამართავად გადაცემა იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მესაკუთრე არ ან ვერ ასრულებს მისთვის დაკისრებულ რომელიმე ვალდებულებას/მოვალეობას;

2.3.2. ნებისმიერ დროს მოინახულოს და შეამოწმოს გირავნობის საგანი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი (მესაკუთრე ნებას რთავს მოგირავნეს მოიპოვოს ყოველი ასეთი დოკუმენტი ნებისმიერი პირისაგან);

2.3.3. იმ შემთხვევაში თუ გირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გირავნობის საგნის ღირებულება შემცირდება ან წარმოიშობა ამის საფრთხე, მოგირავნეს უფლება ექნება მესაკუთრეს მოსთხოვოს მოგირავნის მიერ განსაზღვრულ ვადაში დამატებითი, მოგირავნისათვის მისაღები ქონების გირავნობით დატვირთვა ან გირავნობის საგნის აღდგენა;

2.3.4. შეწყვიტოს გირავნობის ხელშეკრულება და მოითხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნების (ვალდებულებების) დაუყოვნებელი და სრული შესრულება და ამ მიზნით განახორციელოს უზრუნველყოფის საგნის საკუთრებაში მიღება ან მისი რეალიზაცია გირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ფორმით/გზით:

2.3.4.1. მესაკუთრის მიერ გირავნობის ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი განცხადების, გარანტიის ან/და ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და დარღვევის შემთხვევაში, ასევე გირავნობის ხელშეკრულების დასადებად წარდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის სიყალბის ან უზუსტობის დადგენის შემთხვევაში;

2.3.4.2. თუ კლიენტის, მისი თავდების, ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ან/და გარანტის მიმართ დადგება გადახდისუუნარობის/ლიკვიდაციის საფრთხე, სასამართლოს მიერ დაიწყება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან/და წინამდებარე პუნქტში ჩამოთვლილ პირთაგან რომელიმე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ.

2.3.5. თუ ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში გათვალისწინებულია რამდენიმე მსესხებელი, გირავნობის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, მესაკუთრის წინასწარი ინფორმირების/თანხმობის გარეშე, შეამციროს მსესხებლების რაოდენობა.

2.3.6. თუ გირავნობის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ვალდებულებები ამავდროულად უზრუნველყოფილია სხვა უძრავი/მოძრავი ნივთ(ებ)ის იპოთეკით/გირავნობით, საკუთარი ინიციატივით, ცალმხრივად გააუქმოს იპოთეკა/გირავნობა ნებისმიერ მათგანზე, მესაკუთრის წინასწარი ინფორმირების/თანხმობის გარეშე.

2.4. მოგირავნის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე, მესაკუთრეს არ აქვს უფლება საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიტანოს გირავნობის საგანი.

3. მესაკუთრის განცხადებები და გარანტიები

3.1. მესაკუთრე აცხადებს და ადასტურებს, რომ:

3.1.1. მის მიერ გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების ხელმოწერის მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის, სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი;

3.1.2. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სტატუსით), რითაც საფრთხე შეიძლება შეექმნას მის საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე ან/და გირავნობის ხელშეკრულების ან მოგირავნესთან დადებული სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას;

3.1.3. მისთვის ცნობილია, თუ რა სახისა და მოცულობის ათვისებული კრედიტებიდან წარმოშობილი, ასევე კლიენტის/მსესხებლის მიერ მომავალში დასადები ხელშეკრულებ(ებ)ით, რა სახის და მოცულობის სამომავლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ტვირთავს ქონებას (გირავნობის საგანს) მოგირავნის სასარგებლოდ;

3.1.4. მესაკუთრე დეტალურად იცნობს ძირითადი ხელშეკრულების ტექსტს და მისაღებია მისი შინაარსი.

4. მესაკუთრის შესახებ მონაცემთა დამუშავება და კონფიდენციალურობა

4.1. სს "თიბისი ბანკი" (მის: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის/მესაკუთრის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

4.2. მესაკუთრე ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას გირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, მესაკუთრის დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):

4.2.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით, მესაკუთრისთვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან საჭირო მოცულობით, მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, მესაკუთრის პერსონალური მონაცემები;

4.2.2. სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადასცეს მესაკუთრის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის მესაკუთრის საბანკო ანგარიშების, შესრულებული ოპერაციების, ანგარიშებზე არსებული ნაშთების, მესაკუთრის ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და მესაკუთრესთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;

4.2.3. კლიენტს, კლიენტის თავდებ(ებ)ს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება, მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის მიმართ მესაკუთრის ვალდებულებ(ებ)ის შესახებ ან/და ამ პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ბანკსა და მესაკუთრეს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი. ამასთან, ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია მესაკუთრის მიერ ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შესახებ, იმ შემთხვევაში, წინამდებარე პუნქტში ჩამოთვლილ პირთაგან ნებისმიერი ავრცელებს ინფორმაციას ბანკის შესახებ;

4.2.4. მესაკუთრის ან/და მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრობლემური აქტივ(ებ)ის მართვის მიზნით, ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიას, გადასცეს მესაკუთრის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და მესაკუთრესთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

4.2.5. ბანკის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საჭიროების შესაბამისად, გადასცეს მესაკუთრის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და მესაკუთრესთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

4.2.6. მესაკუთრისათვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებისა და გაწევისათვის (მათ შორის სხვადასხვა პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის) აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის მესაკუთრის პერსონალური მონაცემები), გადასცეს ბანკის შვილობილ კომპანიებს ან სხვა მონათესავე საწარმო(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

4.3. პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები დამატებით წესრიგდება ბანკის პოლიტიკით, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე: https://tbcbank.ge/ka/privacy-policy.

4.4. გირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის გაცვლილი ნებისმიერი ინფორმაცია, როგორც დოკუმენტური, ასევე ზეპირი სახით, წარმოადგენს მკაცრად კონფიდენციალურს. შესაბამისად, თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად კონფიდენციალურად შეინახოს მიღებული ინფორმაცია და არ დაუშვას მისი გამჟღავნება სხვა ნებისმიერი მესამე პირისთვის. მხარე ვალდებულია მიმართოს ყველა ძალისხმევას, რათა არ ჰქონდეს წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციასთან სხვა მესამე პირს, ხოლო ასეთი შემთხვევის დადგომისას, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარე და გამოიყენოს ყველა ღონისძიება შექმნილი გარემოების აღმოსაფხვრელად. მხარე იღებს ვალდებულებას თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს მეორე მხარეს კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების შედეგად (მათ შორის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგად), ზიანის ოდენობის მიუხედავად. პასუხისმგებლობა არ დადგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით, კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების/გადაცემის შემთხვევაში.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. გირავნობა ძალაში შედის გირავნობის უფლების სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით (ბანკის მიერ მისი მოქმედების შეწყვეტის წერილობით დადასტურებამდე).

5.2. მხარეთა შორის კომუნიკაცია რეგულირდება გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.

5.3. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც გირავნობის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომელიც დამოწმებულია ბანკის მიერ, აქვს მტკიცებულებითი ძალა გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

5.5. მესაკუთრეს არ აქვს უფლება, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს მასზე გირავნობის ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მისთვის მინიჭებული უფლება.

5.6. ბანკს უფლება აქვს, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს გირავნობის ხელშეკრულებით შეძენილი ნებისმიერი უფლება.

5.7. გირავნობის ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეებისა და სამართალმემკვიდრეებისთვის (მათ შორის გირავნობის საგნის ახალი მესაკუთრისთვის). ამასთან, გირავნობის საგნის უფლებამონაცვლე ვალდებულია, გირავნობით დატვირთული ქონების საკუთრებაში მიღებისთანავე, მიმართოს ბანკს და მიიღოს ბანკისგან ინფორმაცია გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების, მოვალეების/მსესხებლების და გირავნობის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ, რომელიც შესაძლოა არ იყოს წარდგენილი სარეგისტრაციოდ, შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

5.8. მხარეები ადასტურებენ, რომ გირავნობის ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა გირავნობის ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

5.9. გირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, გარდა სპეციალურ პირობებში განთავსებული პირობის ცვლილების ან/და ამავე პირობებში შესატანი დამატებ(ებ)ისა, რომელიც შეიცვლება ბანკის მიერ ცალმხრივად, გამოქვეყნდება წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის დადგენილი წესით და ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე. გირავნობის ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება, მათ შორის, მესაკუთრისგან მიღებული

თანხმობა, წარმოადგენს გირავნობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, იმ შემთხვევაშიც, თუ არ არის წარდგენილი შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მიზნით.

5.10. თუ გირავნობის ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან მომავალში გახდება ბათილი, აღნიშნული არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. გირავნობის ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე.

5.11. გირავნობის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გირავნობის ხელშეკრულების არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება შეუსაბამობა, უპირატესობა მიენიჭება გირავნობის ხელშეკრულების ქართულენოვან ვერსიას.

5.12. ბანკის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: 0114 თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2; ვებგვერდი: www.nbg.gov.ge).